# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 188. ხუთშაბათი, 29 იანვარი 1904 წ. გაზეთის № 2393.


# უბსკრული.

მოთხრობა ლეონიდ ანდრეევისა.

(გაგრძელება *)

II

ზინოჩკას ლოყები გაუფითრდა, ტუჩები თითქმის სისხლის ფრად გაუნათლდა, თვალის კაკლები გაუგანიერდა, თვალები აებლანდა და წყნარად წაიჩურჩულა:



ა. ს. გრიბოედოვი
(სიკვდილიდან 75 წ. შესრულების გამო)

— მეშინიან... აქ ისეთი სიჩუმეა... გზა დავკარგეთ?

ნემოვეცკიმ სქელი წარბები შეათამაშა და იქაურობას საცდელად თვალი შემოავლო.

მოახლოვებულ ღამის სინოტივესგან ქალი უსანდომო და ცივი ჩანდა. ყოველ მხრივ გაშლილიყო რუხი მინდორი დაბალის, თითქოს მოთელილის ბალახით, თიხნარის ხევებით, ბორცვებითა და ორმოებით. ბევრი იყო დაქანებული, ღრმა და პატარა, ლიპი ბალახით სავსე, ორმოები. ამ ორმოებში ჩუმი უკუნეთი აუხმაურებლივ უკვე ჩაწოლილიყო. ის გარემოება, რომ აქ ყოფილა ხალხი, რაღაცა უკეთებია და ახლა კი აღარავინაა, არე-მარეს კიდევ უფრო უდაბნოდ და მოსაწყენად ხდიდა. აქა-იქ პატარა ბუჩქებსა და წვრიმალაებს, როგორც ლილისფერ, ცივ ნისლის გუნდებს, თავები წამოეყოთ,

და თითქო ყურს უგდებდნენ, რას ეტყოდნენ მიგდებილი ორმოები.

ნემოვეცკი შეკრთა, შეშინდა, მაგრამ ეს გრძნობა შეიმაგრა და სთქვა:

— არა, გზა არ დაგვიკარგავს... მე ვიცი გზა: ჯერ მინდორ-მინდორ მიდის, მერე კი, აი, იმ ტყეზე. გეშინიანთ?

ქალმა გაბედულად გაიცინა და მიუგო:

— არა, ეხლა აღარა. მაგრამ დავაჩქაროდ შინ წასვლა, ჩაი დავლიოთ.



ნ. გრიბოედოვისა (ჭავჭავაძის ასული)

აჩქარებით გასწიეს წინ, მაგრამ მალე ნაბიჯს უკლეს. თუმცა აქეთ-იქით არ იყურებოდნენ, მაგრამ ჰგრძნობდნენ კი მოღუშულ მტრობას ოღრო-ჩოღრო მინდვრისას, რომელსაც თითქოს ათასი მიმქრალი და უძრავი თვალი მიეჩერებინა იმათთვის. ეს გრძნობა აახლოვებდა მიმავალთ და ბავშვობის მოგონებას ულვიძებდა. მოგონებანი კი სპეტაკი იყო, გაბრწყინვებული მზით, მობიბინე მწვანით, სიყვარულითა და სიცილით. თითქო ცხოვრება კი არა, გაშლილი, ტკბილი სიმღერა იყო, და ხმებად ამ სიმღერაში თვით ისინი იყვნენ, ორი პატარა ხმა: ერთი წკრიალა და წმინდა, როგორც წკრიალა ბროლი, მეორე თუმცა ცოტა ნაკლებ ხმიანი, მაგრამ გარკვეული კი, როგორც პატარა ზარა.



გრიბოედოვის საფლავი მამადავითის ეკლესიაში

*) იხ. „დამატება“ № 186.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხი გამოჩნდა—ორი დედაკაცი, რომელნიც ღრმა, თიხნარ ორმოს პირად ისხდნენ. ერთი ფეხი-ფეხ გადადებული იჯდა და გაშტერებით ძირს იცქირებოდა; თავშალი აჰხდოდა და ბღუჯა-ბღუჯად აბურძგვნილი თმა უჩანდა. ზურგი მოჰღუნოდა და ჭუჭყიან, ვაშლისტოლა წინწკლებით დაფოთლილი და აკერილებში გარღვეული კოფთა ზევით ასჩაჩვოდა. იმას გამვლელთათვის არ შეუხედნია. მეორე დედაკაცი გვერდზე წამოწოლილიყო და თავი ჩაექინდრა. პირისახე ტლანქი, ფართო, კაცური მოყვანილობისა ჰქონდა, თვალებს ქვემოდ, ლოყების ამოშვერილ კუკუხოებზე ორ-ორი წითელი, აგურის ფერი ლაქა ღვიოდა და ახალ ჭრილობას ჰგავდა. ეს უფრო ჭუჭყიანად იყო, ვიდრე პირველი, და მიმავალთ პირ-დაპირ და დაურიდებლად უცქეროდა. როდესაც გაიარეს, ამ დედაკაცმა დაიწყო კაცის ხმით მღერა:

„შენთვის ერთისთვის, ჩემო საყვარელო.
მე, როგორც ვარდი სუნნელოვანი,
ვყვაოდი“...



ფილოსოფოსი კანტი.
(იხ. ფელეტონი გაზეთის დღევანდელ №-ში)

— ვარკა, გეყურება?—მიუბრუნდა ის გაჩუმებულს ამხანაგს და რაკი პასუხი ვერ მიიღო, ხმა-მაღლა და უზრდელად გადიხარხარა.

ნემოვეცკი იცნობდა ასეთს ქალებს, ჭუჭყიანებს მაშინაც კი, როცა ძვირფასი და ლამაზი ტანისამოსი აცვიათ. თვალი მიჩვეული ჰქონდა და ამიტომაც ისინი ეხლა განშორდნენ იმის მხედველობას და გაჰქრნენ. მაგრამ ზინოჩკამ, რომელიც თითქმის შეეხო იმათ მიხაკისფერ სადა კაბით, ერთის წუთით იგრძნო, თითქოს გულში აღეძრა რაღაცა მტრული, რაღაცა საბრალო და ბოროტი. რამდენისამე წუთის შემდეგ შთაბეჭდილებამ გაიარა, როგორც ოქროსფერ მინდორზე სწრაფად მიმფრინავმა ღრუბლის აჩრდილმა. როდესაც იმათ წინ გაიარა ორმა ადამიანმა, პიჯაკოსანმა და კარტუზოსანმა ფეხშიშველა მამა-კაცმა და ამნაირმავე ჭუჭყიანმა დედაკაცმა, ქალმა დაინახა, მაგრამ ვერაფერი კი იგრძნო. ანგარიშ მიუცემლად კიდევ



გენერალი ტერაუჩი, იაპონიის სამხედრო მინისტრი.



შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკი ადმირალი ალექსეევი.



ფელდმარშალი კაცურა, მთავარსარდალი იაპონიისა.

დიდ ხანს ადევნებდა თვალს დედაკაცს და, ცოტა არ იყოს, უკვირდა, რომ დედაკაცის ასეთი მშვენიერი კაბა როგორღაც ლიპი იყო, თითქოს სველიაო, ფეხებში ედებოდა და კალთაშიაც ვეებერთელა ტალახი ბრტყელ ზოლად ჩაჰკდომოდა. რაღაცა შეშფოთება, ავადმყოფობა და საშინელი უიმედობა იხატებოდა ამ თხელ და ჭუჭყიან კალთის რხევაში.

კვლავ მიდიოდნენ და მილაპარაკობდნენ. იმათ უკან კი უგულოდ მისცურავდა შავი ღრუბელი და გამსჭვირვალე, ფრთხილად მომფინარე ჩრდილს აყენებდა. ღრუბლის ღია გვერდებზე ყვითელი, სპილენძისებური ლაქები შავად გამოსჩანდა და სპეტაკ, ჩუმად გასავლელ გზებით იმის სისქეს იქით იმალებოდა. უკუნეთიც ისე შეუმჩნევლად და შემპარავად სქელდებოდა, რომ ძნელი ხდებოდა იმისი ნდობა, გეგონებოდათ, ჯერ კიდევ დღეა, ხოლო დღე მძიმედ ავადმყოფი და ჩუმად მომაკვდავი. ეხლა ისინი ლაპარაკობდნენ იმ საშინელ გრძნობებისა და აზრების შესახებ, რომელიც ადამიანს ღამე ეწვევა ხოლმე, როდესაც არა სძინავს და არც ხმაურობა, არც ლაპარაკი არ უშლის; ამასთან ფართო და მრავალთვალა უკუნეთი, რაც არის ბუნება, მაგრა ეკვრის თვით მის სახეს.

— წარმოგიდგენიათ თქვენ დაუსრულებლობა?—ჰკითხა ზინოჩკამ, ამასთან შუბლზე ხელი მიიდო და თვალები მაგრად დახუჭა.

— ვერა, დაუსრულებლობა... ვერა,— მიუგო ნემოვეცკიმ და ამანაც თვალები დახუჭა.

— მე კი ზოგჯერ ვხედავ ხოლმე. პირველად მე ვნახე, როდესაც ჯერ კიდევ პატარა ვიყავ. ეს თითქოს ურმებია. სდგას ერთი ურემი, მეორე, მესამე და ასე შორს, დაუსრულებლად სულ ურმები, ურმები... საშინელებაა,—ქალს გააჟრჟოლა.

— ურმები რა შუაშია?—გაიღიმა ნემოვეცკიმ, თუმცა კი უსიამოვნოდ გახდა.

— არ ვიცი. ურმები, ერთი, მეორე... დაუსრულებლად.

უკუნეთი შემპარავათ სქელდებოდა, ღრუბელმა გადაიარა კიდევაც იმათ თავებზე და წინიდან თითქოს აცქერდებოდა იმათს გაფითრებულს, ძირს დახრილს სახეებს. კვლავ ამოდიოდნენ დაგლეჯილ, ჭუჭყიან ქალების ფიგურები, თითქო ამ ფიგურებს ისროდნენ ზევით ღრმა, რიღასთვისაც ამოთხრილი ორმოები, და მათი კაბების სველი კალთები შესაშინებლად შრიალებდნენ. ხან თითო, ხან ორ-ორი, სამ-სამი ჩნდებოდნენ ისინი და მათი ხმები მაღლა და უჩვეულოდ მოისმოდა გაყინულ ჰაერში.

— ეს ქალები ვინ არიან? საიდან ჩნდებიან ამდენნი? შეკრთომით და ხმა დაბლა ეკითხებოდა ზინოჩკა.

ნემოვეცკიმ იცოდა, ვინც იყვნენ ეს ქალები; ეშინოდა, რომ ისინი ასეთს ცუდსა და საშიშარს ადგილს მოხვდნენ, მაგრამ მაინც დამშვიდებით მიუგო:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არ ვიცი, არ უნდა ვილაპარაკო მაგათზე. აი, ეხლავე გავივლით ამ წვრიმალს და იქ იქნება საყარაულო და ქალაქი. ვნანობ, რომ ასე გვიან გამოვედით.

ქალს სასაცილოდ ეჩვენა, რომ „გვიან“ სთქვა, როდესაც ისინი ოთხს საათზე გამოვიდნენ. შეხედა რა ვაჟსა, გაიღიმა. მაგრამ ვაჟის წარბები მაინც არ გაიშალა. ქალმა დამშვიდება დაუწყო, ნუგეშის ცემა და უთხრა:

— ჩქარა წავიდეთ. ჩაი მინდა. ტყეც ახლოა.

— წავიდეთ.

როდესაც ტყეში შევიდნენ და ხეები დუმილით იმათ თავებზე თავიანთ კენწეროებით დაკამარავდნენ, ძალზე დაბნელდა, მაგრამ თავისუფლება და მყუდროება კი იყო.

— მომეცით ხელი, — წინადადება მისცა ნემოვეცკიმ.

იმანაც გაუბედავად გაუწოდა ხელი და ამ მსუბუქად შეხებამ თითქოს გაჰფანტა უკუნეთი. იმათი ხელები უმოძრაოდ იყვნენ და არც ეკვროდნენ ერთმანეთს. ზინოჩკა, ცოტა არ იყოს, კიდევაც უფრთხოდა თანამგზავრს, მაგრამ მთელი იმათი ცნობიერება იმ სხეულის პატარა ადგილის გრძნობიერებამ მოიცო, სადაც ხელები ჰხვდებოდნენ. კვლავ მოესურვათ ბაასი სილამაზესა და სიყვარულის საიდუმლო ძალაზე, მაგრამ ისეთი ბაასი კი, რომ სიჩუმე არ დაერღვია, ბაასი სიტყვებით კი არა, ერთმანეთის ცქერით. ჰფიქრობდნენ ერთმანეთის შეხედვას, უნდოდათ კიდეც, მაგრამ ვერ გაებედათ კი.

— აი კიდევ ხალხი! — მხიარულად წამოიძახა ზინოჩკამ.

III

ვაკეზე, სადაც უფრო ნათელი იყო, გამოცლილ ბოთლის მახლობლად სამი კაცი იჯდა და სულ-გატრუნული მიმავალთ უცქეროდა. ერთმა, არტისტივით წვერმოპარსულმა, გაიცინა და დაუსტვინა ისე, თითქო ამით უნდოდა დაეძახნა:

## ქართული საღამო პეტერბურგში





ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ გამართული საღამო უგანათლ. კნეინის ე. ა. გრუზინსკის მიერ.

## შორეული აღმოსავლეთი



რუსეთის ფლოტი.



იაპონიის ფლოტი.

— ეჰეე.

ნემოვეცკი სულით დაეცა, გული საშინლად შეუჩოჩქოლდა, მაგრამ, თითქო უკანიდან ვიღაცის მიერ გამხნევებულმა, გასწია პირ-და-პირ მჯდომარეებისაკენ, რომელთა ახლოს ბილიკიც მიდიოდა. ისინიც უცდიდნენ და სამი წყვილი თვალი შავად, უძრავად და საშიშრად უმზერდა. იმას უნდოდა, დაემსახურებინა კეთილი განწყობილება ამ ბნელის შემოგლეჯილის ხალხისა, რომელთა სიჩუმეში მუქარა იხატებოდა, ეჩვენებინა იმათთვის თავისი უმწეობა, გაეღვიძებინა მათში თანაგრძნობა და მოკრძალებით შეეკითხა:

— რომელის გზით გავალთ საყარაულოსკენ? აქედან?

მაგრამ იმათ ხმა არ გასცეს. მოპარსულმა რაღაცა გამოურკვეველი და სამასხარაო დაუსტვინა, დანარჩენნი ორნი კი სდუმდნენ და მძიმე, ცუდის მომასწავებელის დაშტერებით იცქირებოდნენ. მთვრალები იყვნენ, გაბოროტებულნი და სიყვარულსა და დანგრევას მოწადინებულნი. წითელლოყებამ, გასიებულმა წამოიწია ნიდაყვებით, შემდეგ თითქოს გაუბედავად დათვივით თათებზე დაეყრდნო და მძიმე ხვნეშით წამოდგა. ამხანაგებმა ოდნავ გადაჰხედეს იმას და ხელ ახლა იმავე დაჟინებით მიაშტერდნენ ზინოჩკას.

— მეშინიან, — მარტო ტუჩებით წაილაპარაკა ზინოჩკამ.

თუმცა ნემოვეცკის ეს სიტყვები არ გაუგონია, მაგრამ დაყრდობილ ხელის სიმძიმისა გამო მიჰხვდა იმის გულის ნადებს. სცდილობდა თავი მშვიდად დაეჭირა, მაგრამ ჰგრძნობდა სახიფათო აუცილებლობას იმისას, რაც ეხლა უნდა მომხდარიყო, და ნაბიჯი მტკიცედ და სწორედ გადაადგა. ქალ-ვაჟს სამი წყვილი თვალი მიუახლოვდა, გაიელვა და მათ ზურგთ უკან გაჩერდა. „უნდა გავიქცეთ“, — გაიფიქრა ნემოვეცკიმ და თავის თავს თითონვე უპასუხა:

— არა, გაქცევა არ შეიძლება!

— მთლად მკვდარია ვაჟი, კიდევაც სირცხვილია,—სთქვა მესამემ, მელოტმა, თხელ და ქერა-წვერიანმა.—ქალი კი მშვენიერია, ღმერთმა ყველას მისცეს!

სამივემ როგორღაც უნიებლიედ გაიცინა.

— ბატონო, მოითმინე, ორი სიტყვა!..—მწარედ, ბოხის ხმით გაეხმაურა აყლაყუდა და ამხანაგებს გადაჰხედა. ესენიც წამოდგნენ.

ნემოვეცკი უკან მიუხედავად მიდიოდა.

— უნდა დაიცადო, როცა გთხოვენ,—სთქვა ქერამ.

— თორემ კისერშიც ხომ შეიძლება!..

— შენ გეუბნებიან!—შეჰღრიალა აყლაყუდამ და ორის გადახტომით მიმავალთ წამოეწია. ტლანქი ხელი დაეშვა ნემოვეცკის მხარზე და წააბორძიკა იგი. ნემოვეცკი შემობრუნდა და სულ ახლო, თავის სახესთან რგვალს, დაჭყეტილს და შემაძრწუნებელ თვალებს შეჰხვდა. თვალები ისე ახლო იყო, თითქო გამადიდებელ შუშით უცქეროდა და წითელს ძარღვებს თვალის კაკალზე და ყვითელს ჩირქს წამწამებზე ნათლად არჩევდა. იმ საათს გაუშვა ზინოჩკას დადამბლავებული ხელი, ჯიბის ჩხრეკა იწყო და წაიბუტბუტა:

— ფული!?. აჰათ ფული. სიამოვნებით მოგცემთ.

დაჭყეტილი თვალები თან-და-თან ბვლრიალებდნენ და ანათებდნენ, და როდესაც ნემოვეცკიმ თვალი მოაშორა, აყლაყუდამ ცოტა უკან დაიწია და ხელ-გაუქნევლად ნემოვეცკის ნიკაპში ქვევიდან ამოჰკრა. ნემოვეცკის თავი შეინძრა, კბილებმა გაიტკაცუნა, ქუდი შუბლზე გადმოეკიდა და ჩამოვარდა, და საბრალოჴხელების ქნებით ძირს დაეცა. ჩუმად, ხმა ამოუღებლად გაბრუნდა ზინოჩკა და, რამდენადაც კი ძალა შესწევდა, საჩქაროდ მოჰკურცხლა. მოპარსულმა გაბმით და ახირებულად შეუყვირა: „ჰა, ჰა, ჰაა.!.“ და ყვირილით გამოეკიდა. ნემოვეცკი ბარბაცით წამოდგა, მაგრამ გასწორება ვერცკი მოასწრო, რომ ხელახლად კეფაში დარტყმისაგან ზღართანი მოსძვრა. ისინი ორნი იყვნენ, ეს კი ერთი, ამასთან სუსტი და ბრძოლაში გაუჩვეველი, მაგრამ მაინც დიდხანს იბრძოდა, ბრჩხილებით იკაწრებოდა გაანჩხლებულ ქალივით, ულონობისა და სასოწარკვეთილებისა გამო სლუკუნებდა და იკბინებოდა. როდესაც სულ მოუძლურდა, აიღეს და გააქანეს. ის ეურჩებოდა, მაგრამ თავბრუ ესხმოდა, თან-და-თან ჰკარგავდა შეგნების უნარს. უკანასკნელი, რაც იმან დაინახა, იყო ნაწილი ქერა წვერისა, რომელიც იმას თითქმის პირში ხვდებოდა. შემდეგ ამისა ტყის უკუნეთი და ფერადი კოფთა გაქცეულ ქალისა. ქალი გარბოდა ჩუმად და მარჯვეთაც, ისე, როგორც გარბოდა ამ დღეებში, როდესაც კეკემალულობას თამაშობდნენ. მას შემდეგ ნემოვეცკიმ თავის გარშემო რაღაცა არარაობა იგრძნო, დათუთქულის გულით გადავარდა სადღაც ძირს, მთელის სხეულით დედა-მიწაზე ზღართანი მოიღო და ცნობიერება დაჰკარგა.

აყლაყუდამ და ქერამ, რომელთაც ნემოვეცკი ორმოში ჩააგდეს, ცოტა შეიცადეს იმის ყურის დასაგდებად, რაც ორმოში ხდებოდა. მაგრამ იმათი სახეები და თვალები იქითკენ იყო მიმართული, სადაც ზინოჩკა დარჩა. იქიდან მოისმა ქალის ჰაღალი, შეხუთული ხმა და მაშინათვე ჩასწყდა. აყლაყუდამ ბრაზ-მორევით შეჰღრიალა:

— არამზადა! პირდაპირ კი გაეშვა და, თითქო დათვი ტოტებს ამტვრევსო.

— მეეც! მეეც!—წვრილის ხმით ყვიროდა უკან გამოკიდებული ქერა. ის სუსტი იყო და ქოქინებდა. ბრძოლის დროს მუხლიც ატკინეს და საწყენად ჰქონდა, რომ ქალის შესახებ აზრი პირველად იმას მოუვიდა თავში და ბოლოს კი ერგება. ქერა შესდგა, ხელით მუხლი დაიზილა, ცხვირი მოიხოცა და ისევ გაეშვა შებრალების მოთქმით:

— მეეც! მეეც!

შავი ღრუბელი მთელ ცაზე გაიშალა და დადგა ბნელი, მშვიდი ღამე. ქერას მოკლე ფიგურაც ჩქარა გაჰქრა, თუმცა კი კიდევ კაი ხანს ისმოდა იმისი ფეხის უსწორ-მასწორო ხმა, შრიალი მიწეულ-მოწეულ ფოთლებისა და ვედრებით ყვირილი:

— მეეც, ძმებო, მეეც!

ს. წერეთელი.

(დასასრული იქნება).

არტისტიულ საზოგადოების თეატრში.




პაპიროსის მოსაწევ ოთახში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. цен. Тифлисъ, 29 января 1904 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.